

պատկ ամբողջով ձեռքը ջրեք

279 100

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԼՍՀ ԳՆԱԿԱԿԱՆԱԿՆԵՐԻ ԿԵՆՏՐՈՆ
ՍԵՐՈՒՄ 287 1 100

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԼՍՀ ԳՆԱԿԱԿԱՆԱԿՆԵՐԻ ԿԵՆՏՐՈՆ
11.01.2011 6

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԼՍՀ ԳՆԱԿԱԿԱՆԱԿՆԵՐԻ ԿԵՆՏՐՈՆ
ՍԵՐՈՒՄ 287 1 100

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԼՍՀ ԳՆԱԿԱԿԱՆԱԿՆԵՐԻ ԿԵՆՏՐՈՆ
11.01.2011

49.

შტრიხები პორტრეტისათვის

— როგორ თუ სიუჟეტი ცოტაა? — გადმოგვცემს ჩეხოვის გამონათქვამს ნ. ტელეშოვი, — სიუჟეტი ყველგან არის, სიუჟეტი ყველაფერშია. აი, შეხედეთ ამ კედელს, თითქოს არაფერი საინტერესო მასში არ არის. მაგრამ დააკვირდით მას, იპოვეთ მასში რაღაც „სათქვენო“, ისეთა, რაც მანამდე სხვას არ აღმოუჩენია და აღწერეთ ეს. მერწმუნეთ, კარგი მოთხრობა შეიძლება გამოვიდეს. საერთოდ, მთვარეზეც შეიძლება დაიწეროს კარგად. მერე რა ვუყოთ, რომ თემა გაცვეთილია?... ოღონდ საჭიროა მთვარეშიც კი დაინახო რაღაც „შენებური“.

რატომ მაინც და მაინც ჩეხოვზე მოგონებით ვიწყებთ ჩვენს საუბარს რევაზ მიშველაძის შემოქმედების ზოგადი ნიშნების განხილვასთან დაკავშირებით? სად რუსულ პროზაში პუშკინად აღიარებული ჩეხოვი და სად ჩვენს მწერლობაში რაღაც ათიოდე წლის წინათ შემოსული „ახალბედა“?

მართლაც, დიდი კადნიერება იქნებოდა, თვით რევაზ მიშველაძეს შეეფერებინა ასეთი პირდაპირი ანალოგია.

მაგრამ ჩეხოვის შემოქმედებით ტრადიციებთან რევაზ მიშველაძის, როგორც შემოქმედის, კავშირზე მაინც აქედანვე, სწორედ ამ „ახალბედობიდანვე“ მინიშნებულ უნდა იქნეს, მინიშნებულ უნდა იქნეს გაბედულად, როგორც მომავალი, საგანგებო კვლევისა და დაკვირვების საგანზე. სამი არსებითი მომენტია წინასწარვე მხედველობაში მისაღები: უანრიანობის, წერის მანერის და უხვთემიანობის.

მიუხედავად იმისა, რომ ნოველის და მოთხრობის ზღვარგამდები ჩარჩოების ზუსტად დადგენა ლიტერატურის თეორიამ დღემდე ვერ შეძლო, მაინც მცირე პროზაული ნაწარმოებები, მინიატურისა და ესკიზის გარდა, ნოველის უანრს განეკუთნება და მას თავისი სპეციფიკური ნიშნები განაპირობებს. მათ შორის მთავარია ადამიანური ხასიათის ისეთი შტრიხით, ისეთი ფრაგმენტით ჩვენება, რომლითაც ნათელი ხდება მისი მთლიანი ბუნების შინაგანი არსი. ყოველგვარ ამინდში კალაშის ტარების ჩვევა ბელიკოვის ხასიათის ერთი შტრიხია, მაგრამ ეს შტრიხი ჩეხოვის ოსტატური ფუნჯით ხსნის ბელიკოვის მთელ ბუნებას. იგი მშიშარაა, ექვიანი, ბუზლუნა.

რევაზ მიშველაძემ ნოველებით დაიწყო და თავისი შემოქმედების ათი წლის ნაყოფი მხოლოდ ამ უანრის ერთ მოზრდილ ორმოც თაბანთან წიგნში მოაქცია, რომელსაც „მწუხრი“ დაარქვა. ასე მოკლე დროში ამდენი რაოდენობის ნოველა დღემდე არცერთ ქართველ მწერალს არ შეუქმნია. ამასთან არც ერთი ქართველი მწერალი არ ჩარჩენილა მხოლოდ ნოველების „ბაღში“. თვით ყველაზე გამოჩენილმა და ქართული ნოველისტიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა შიო არაგვისპირელმაც კი გადაუხვია არჩევანს. რაც შეეხება თემათა (სიუჟეტთა) „ხვავიანობის“ მხრივ საგრძნობ მსგავსებას, ეს უკვე წიგნში მოთავსებული ნოველების სათაურებიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ არაფერი ეთქვათ მათ განხილვაზე.

მაშასადამე, რაღაც საერთო ტენდენციების არსებობა რეალურად არსებული ფაქტია.

მაგრამ რატომ არაფერი ვთქვათ განხილვაზე? სწორედ განხილვამ უნდა დაფაროს მინიშნებების ზედაპირულობა.

და სანამ ამ საქმის „აღმართს“ შევუდგებოდეთ, სჯობს ისევ თავიდან დავიწყოთ და გავიცნოთ რევაზ მიშველაძე — ჩვენი თანამედროვე ნოველისტიკის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ძნელია რევაზ მიშველაძის პორტრეტის ერთ „თარგში“ მოქცევა.

როცა ეს სტრიქონები იწერება, მას მხოლოდ ორმოცდახუთი წელი შეუსრულდა.

მუდამ მოუსვენარი, მოძრავი, მოქმედი, ფიქრიანი ხახით და მომღიმარე თვალებით გზაზე რომ შემოგხვდება, სანამ ხელს ჩამოგართმევს, მეორე უკვე სხვისკენ აქვს გაწვდილი, აგერ, გვერდით მოგყვება გგონია, როცა უკვე სხვას ესალმება, სანამ შენსკენ მობრუნდება, გზად წამოწეულს ორ სიტყვას მიუგდებს, დადის ასე გატეხილი, გარდი-გარდმო ნაბიჯებით, შეუწყვეტილვ ოხუნჯობს და სახალისო განწყობილებას ქმნის.

ასეთია რევაზ მიშველაძე ერთი შეხედვით.

ჩერ კიდეც სტუდენტობის დროიდან მოქცეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანატისა და პროფესორ-მასწავლებელთა საგანგებო ყურადღების არეში. არავის ახსოვს მისი აკადემი-

უფრო სწორად — გაორება ბადებდა დრამატიზმს, როგორც ენერჯიას: იგი განადიდებდა ქალაქს, ტექნიციზმს, მუშათა კლასს, მაგრამ მთვარესაც ვერ ელეოდა: „პოეტებში მეამბოხე და ურბანელი ჩემს უნებურათ ვინახავ მთვარეს, მთვარეს ავადმყოფს, ნაცრის ფიფქიანს“; თავადაც გრძნობდა, რომ ასეთი დაპირისპირება მტკივნეული იყო: „მეუბნებიან — სამშობლოში მოტოვებმა ბარათა-შვილის მერანი მოკლეს“.

გულის სიღრმეში მაინც ცოცხლობდა იმ გარემოს სიყვარული, რომელშიც აღიზარდა. იგი ვერ წარბოცა ვერც მარინეტიმ, ვერც „ლეფს“, ვერც ელექტრონის ელვამ, რადგან სტიქიური, თანდაყოლილი გრძნობა იყო. ამიტომ უნებურად აღმოხდებოდა ხოლმე: „ჩემი ნატვრაა მეგრული ფაცხა“, „მე მენვებება, რომ ოთახთან მოდის სოფელი სახე ნაპობი მივეკრები...“ ამ მონატრებამ დააწერინა „ქარბორია“, „მეკამეჩების ურმული“, „ცირა“, „სანაპირო სიმღერა „ხაბო“, „მორდუ“, „სიდუ...“

გონებით იყო ნათქვამი ასეთი სტრიქონები: „ქალაქი იბრძვის, კვდება სოფელი“, „მე ფოლადით გამოვიტალე“, „მარსზე რადიო დაჰკრავს კამერტონს“. ხოლო გულს სდევდა, როგორც ნოსტალგია და მოგონება, კოლხური დამე, ნისლი, ქარის ზუზუნი, სილუს კვილი, ზღვის გუგუნი...

ს. ჩიქოვანის ადრეული ლექსების ერთი ნაწილი ფუტურისტულია და ენათესავება ვ.ხლებნიკოვისა და ა. კრუჩინიხის პოეზიას. მაგრამ სწორედ მათ მსგავსად ცდილობს ნაციონალური მისილის გაახრებას, ქართული სიტყვის სიღრმეში შეჭრას, კოლორიტის დაცვას. „იმპორტული მეთოდი“ მან გააქართულა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. პოეტი ორკესტრულ ლექსებად აღადგენს ბავშვობის შთაბეჭდილებებს, მეხსიერებას ხმებად რომ შემორჩენია: მათ არქაულობის ელფურიც დაჰკრავთ, ბუნდოვანი სიტყვები ნისლივით ახვევიათ და როცა კარგად გავიზარებთ — მელანქოლიურ განწყობილებასაც აღგვიძრავენ /რასაც ასე ჯიუტად უარყოფდნენ ფუტურიზმის იდეოლოგები/.

განხაკუთრებული სიმწვავეით და ამავე დროს პოეტური ძალით განიცდება ს. ჩიქოვანის ლირიკაში კოლხური გარემო, საქართველოს წარსული, ნათესავ-მეგობართა ბედი, რაც იმისი დასტურია, რომ, მიუხედავად აზრის პრიმატიისა, ხედვა-ჭკვრეტის ქადაგებისა, შთაგონება — გათვლის პრინციპისა, ინდუსტრიული და სოციალისტური ყოფის აპოლოგიისა, მას სულისა და სისხლის გენეალოგია ამეტყველებდა, რაც არაცნობიერად წარმართავდა გულსა და ფიქრს, ე.ი. ვლინდებოდა ღრმად პიროვნული საწყისი.

ს. ჩიქოვანს აკლდა ლირიკოსის ტემპერამენტი, მუსიკალობა. იქნებ ამიტომაც აღმოჩნდა ესოდენ მახლობელი ფუტურისტული „ზაუმი“. ეტყობა, მას ჰქონდა ძლიერი შინაგანი მოთხოვნილება სიახლეთა პოვნისა, სწრაფვის იმპულსი, რევოლუციურ-ბუნტარული სული. მას, როგორც პრაქტიკოს რევოლუციონერს, დაავიანდა, ან იქნება სულაც გვიან გაედგინა „ფასეულობათა გადაფასების“ ჟინი. ერთი რამ ცხადია, იგი შემთხვევით არ მისულა „H₂SO₄“-ამდე. მისი სულის იეროგლიფი სწორედ ამ ჯგუფის მიერ მოხმობილი და ნასესხები თეორიებით იშიფრებოდა. პოეტის მძაფრი, მაძიებელი ფიქრი სიტყვის სფეროში მოექცა, სიტყვაში სცადა დაეცხრო ლტოლვა გარემოს გარდაქმნისა. ამიტომ ყოველთვის აყენებდა ვითხვას — რა ფორმით, როგორი სტილით უნდა ამეტყველებულიყო ახალი დრო და პიროვნება. მასში თავიდანვე მძლავრობდა ინტელექტის, გონების პრიმატი. ეს იყო თანდაყოლილი თვისება, რომელიც ვერ შეიცვლებოდა. ამიტომაც გახდა რაციონალური პოეზიის ლიდერი, რომლის სიღრმე, სირთულე, რიტმული კონფიგურაცია გ. ტაბიძის უმაღლესად არტიტული, მუსიკალური ლირიკის საპირისპირო მდინარეა აღმოჩნდა.

ს. ჩიქოვანი იყო ერთადერთი პოეტი, გ. ტაბიძის სიცოცხლეში რომ შექმნა არასიმბოლისტურ საწყისებზე აღმოცენებული დიდი ვნებებით დამუხტული, ინტელიგენტის ფიქრის შესატყვისი პოეზია, რომელმაც საწყისი მისცა ე.წ. ინტელექტუალურ ნაკადს /ო. ჭილაძე და „ცნობიერების ნაკადის“ პოეზია, ვერლიბრისტების თაობა და ა.შ./ იგი ინტუიციურად აღმოჩნდა ტიპოლოგიური პარალელი თ.ს. ელიოტის შემოქმედებისა, რომელშიც აისახა XX საუკუნის მოახროვნე ადამიანთა ფსიქიკა და ცნობიერება. მართალია, ს. ჩიქოვანმაც დაიწყო რომანტიზმის უარყოფით /„მე რომანტიზმზე წავიკითხავ ბოლო „რეკვიემს“/. მაგრამ საბოლოოდ მას მაინც ვერ გაექცა. ოღონდ ახლად დამკვიდრებული რომანტიკა იყო არა მთვარისა და ზმანებათა, არამედ ფიქრისა და გოდებისა. როგორც ჩანს, მთელი ხელოვნების ისტორია სარის რომანტიკული აღმაფრენის ნაირგვარი ტრანსფორმაცია. რაც უნდა გაურბოდეს ხელოვანი მას, ბოლოს მაინც დაუბრუნდება, როგორც ცისკლდ გატყობნული ისარი მიწას.

ური დავალიანება და ხასწავლო დისციპლინის რაიმე სახით დარღვევა. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ღონისძიებებში. ლიტერატურული წრის ჯერ გამგეობის წევრი იყო, მერე მისი ხელმძღვანელი. აღმანახ „პირველი სხვის“ თანამშრომელი ადრე გახდა, ახლა მისი მთავარი რედაქტორია. წარჩინებით კურსდამთავრებული ასპირანტურაში ჩაირიცხა. სამი წლის ვადაში საკანდიდატო დისერტაცია მოამზადა ქართული ეურნალისტიკის სპეციალობაში და დაიცვა კიდეც 1988 წელს. მალე დოცენტი გახდა და როგორც კი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა ცალკე გამოიყო, დატოვა თავისი აღმწარდელი ეურნალისტიკის ფაკულტეტი და ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადაშვიდა, როგორც ჩამოყალიბების დღიდანვე ამ კათედრის წევრი.

არ გასულა სულ რაღაც შვიდი-რვა წელი და მშ წლისამ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად კათედრაზე დისერტაცია წარმოადგინა თემაზე „ქართული საბჭოთა პოეზია“.

მშ წლის რევალ მიშველაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია, ხოლო, ერთი წლის შემდეგ, უკვე მშ წლისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ამით დამთავრდა მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ერთი ეტაპი.

მეორე ეტაპი ამ მოღვაწეობის გაგრძელების პარალელურად მხატვრული შემოქმედებით დაიწყო.

ეს საზოგადოებრივ-ორგანიზაციული საქმიანობის ერთი სფეროა.

მაგრამ ამ სფეროს იმდენი უჩინარი შტოები და შტრინები აქვს, იმდენი დრო იკარგება და იქსაქსება, უკან მოხედვისას თითქმის არაფერი რჩება გარდა ერთი ჩალიმებისა იმის დასტურად, რომ იყავი, ესწრებოდი, მონაწილეობდი...

რევალ მიშველაძესაც ეკარგება ბევრი დრო ასეთ რამეებზე.

ამით, უბრალოდ, იმის თქმა გვინდა, რომ იგი არ არის პროფესიონალი, ე. წ. თავისუფალი მწერალი — მთელი არსებით ჩაძირული მხატვრული შემოქმედებისათვის.

ასეთები იყვნენ, ასეთები ახლაც არიან.

რევალ მიშველაძე არასოდეს შედის ლექციაზე „დაობებული საგზლით“. იგი შესანიშნავი მესხიერების პატრონია. ხატოვანი მოსაუბრე, მიმზიდველი ამხსნელი, საგნის ღრმა მცოდნე.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისთვის არ არსებობს სპეციალობა ვიწრო გაგებით, ლექტორი თავისი საგნის ნაჭუჭში ჩაკეტილი. მას ფართო დიაპაზონი და ერულიცია აქვს. ეს მუდგნდება ყველგან, მის გამოსვლებში „შინ“ და „გარეთ“.

ნაკლებად მოიძებნება ახლა მსოფლიოს ისეთი თვალსაჩინო კუთხე და ადგილი, სადაც სპეციალური მიწვევით მწერალთა დღეღვატაასთან რევალ მიშველაძე არ უოფილიყო, ამერიკის შეერთებული შტატები იქნება ეს თუ საფრანგეთი, ინგლისი თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია თუ ვიეტნამი, რუმინეთი თუ იტალია: იაპონიასა, რუმინეთსა და ვიეტნამში მოგზაურობის საინტერესო შეთბეჭდილებები გაზეთ „თბილისის“ პუბლიკაციით ცნობილია მკითხველებისათვის.

ერთხელ, ჩვენთან, უნივერსიტეტში, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრათა გამგეების ერთკვირიანი რესპუბლიკური სემინარი ტარდებოდა. წინასწარ დაიბეჭდა სემინარის გეგმა, ვხედავ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ რევალ მიშველაძეს დავალებული შქონია მოხსენება თემაზე: „თვალსაჩინოების როლი ლექციების ხარისხის ამაღლების საქმეში“. და, აი, ეს ახალგაზრდა პროფესორი გამოცდილ და ხანშიშესულ კათედრათა გამგეების წინაშე უნდა გამოვიდეს წმინდა მეთოდოკური ხასიათის პრობლემებზე მოხსენებით. შიშმა შემოიპრო. შეცდომად მომჩვენა. ხანამ შევხვდებოდი, ერთი სული შქონდა. სემინარის დაწყებამდე ათი წუთით ადრე მართლაც შეხვდა პირველი კორპუსის მეორე სართულის კიბეებზე ასვლისას. შემაჩერა და შეუბნება:

— ბატონო აკაკი! რა მიქნეს, კაცო, მოხსენება დამავალეს. თვალსაჩინოებო, ტექნიკური საშუალებების გამოყენებო, რა ჩემი საქმეა ასეთი თემა, მიშველე, თუ გიყვარდღ, რა ვთქვა, ერთი ორი სიტყვით მინც მითხარო.

მე გულუბრყვილოდ მართლაც დავიჯერე მისი უმწიერო მდგომარეობა და, რაც შემეძლო, იმ ათი წუთის განმავლობაში, სააქტო დარბაზში შესვლამდე, ვარიგებდი და ვარიგებდი, ეს საკითხი ასე გაშალე, ეს კიდე შეშეთქი.

თურმე რას იღლი თავს. დადგა მისი ჯერი.

ლაპარაკობს დინჯად, მთელი სერიოზულობით პედაგოგიკისა და მეთოდოკის საკითხების ისეთი ცოდნით, აქეთ-იქით თვალს ვაცეცებ.

ბევრი რამ იხატება ამ პატარა დეტალში.

მას ყველაფერი ეხერხება, იგი ყველაფერს ეტანება, ყველაფრისკენ მიიწევს, ყველაფერს ახწრებს.

ნიჭს და უნარს ყვავილივით მოვლა, გაშლა და გაფურჩქვნა უნდა.

რევალ მიშველაძე ფუფუნებაში არ აღწრდილა. პედაგოგ მშობლებს ოთხი შვილი მყავდათ და უკლებლივ ახლაც მყავთ.

— მოვიდოდი სკოლიდან დღიურში ჩაწერილი ხუთიანით და ერთხელაც არ მანსოვს მამას შე-

ატაპი თოფურიბა
შტრინები პორტრეტისათვის

ვექე ამისათვის. სხვა ნიშანს არც მოველოდიო. მეტყობდა ისე, თითქოს ადვილი ყოფილიყოს ხუთოსნობა. — იგონებს რევანი ზოგჯერ მამაზე, რომელიც არასოდეს ანებივრებდა შვილებს.

მაგრამ როგორც ყოველ მოკვდავს და ყოველ შემოქმედს, რევან მიშველაძესაც ახასიათებს ზოგიერთი ისეთი ნაკლი, რომელიც ხშირად ედება საფუძვლად მასზე ორმაგი, ურთიერთ საწინააღმდეგო შეხედულებების წარმოშობას და გავრცელებას. ჩიქურია, შემტევი. ერთი სიტყვით, რაინდული თავგამოდებაც იცის და... ამიტომ მოშურნეც ჰყავს, მტერიც და ნიჭიერების გულწრფელი დამფასებელიც

რევან მიშველაძის მოთხოვნების კრებული ცალკე წიგნად პირველად გამოიცა 1964 წელს, ხოლო 1969 წელს გამოვიდა მისი ლიტერატურული პაროდები სახელწოდებით „მე თვითონ მეცინებოდა“. ანოტაციაში ეწერა: „პაროდია ლიტერატურის ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი ჟანრია. ლიტერატურული პაროდების კრებული ჩვენში პირველად ქვეყნდება. ახალგაზრდა მწერლის — რ. მიშველაძის ეს წიგნი, ვფიქრობთ, თავისი სიმახვილით, ზომიერი და ხალასი იუმორით მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას, ავტორი კარგად იცნობს ქართველი მწერლების სტილურ სპეციფიკას და ახერხებს კეთილი ღიმილით გადმოსცეს მათი თვითყოფადი შემოქმედების შთაშებუდავი, პაროდირებული ნიუანსი“.

შოთა რუსთაველის იგავი ორმოში ჩავარდნილი კაცის ამოყვანის თაობაზე, პოეტური, ეპისტოლარული და პროზაული რემინისცენციებით ნაჩვენებია დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, კონსტანტინე გამხურდიას, ლევან გოთუას, ნოდარ დუმბაძის, სერგო კლდიაშვილის, გიორგი ნატროშვილის, ოთარ ჩხეიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, მერაბ ელიოზიშვილის, ბესარიონ უღენტის, იოსებ ნონეშვილის, დემნა შენგელაიას, ჯანსუღ ჩარკვიანის, სერგი ჭილაიას, რევან ჯაფარიძის შემოქმედებითი ნიმუშების, მიადერნიზებული პროზაიკოსის, არა-დამწყები ურნალისტიკის და კანცელარიის მონქელის საოცარი სტილური მოდიფიკაციით, რაც მართლაც კეთილი იუმორის იერს ანიჭებდა მთელ პაროდებს.

მაგრამ თქვენ უნდა გენახათ რევან მიშველაძე იმპროვიზატორის როლში მაშინ, როცა ამ პაროდებს თვითონვე ანსახიერებდა თანამედროვე მწერლებისა და პოეტების ხმებისა და შეტყვევებისათვის სრული მიმსგავსებით! იგი იმიტაციის საოცარი ოსტატია. შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენს ტელევიზიაში მან პირველმა შემოიღო და დიდხანს უძღვებოდა კიდევ ახალ განყოფილებას „სიცილის საათი“.

ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის დარგში რევან მიშველაძემ უკვე მოახწრო გაველო თავისი კვალი. აქ მხოლოდ წიგნებს ჩამოვთვლით: „კრიტიკა“ — (1970), „კრიტიკული მონოლოგები“ (1978), „ქართული საბჭოთა პოემა“ (1978), „ეპოქის გზებით“ (1978), „შენ ჩემთვის რა გატირებდა (1979)“ და „რომ უკეთენი ვიყოთ“ (1988). ისინი გამოირჩევიან ლიტერატურის მცოდნეობის აქტუალური პრობლემების გაბედული დასმით, კრიტიკული ანალიზის ორიგინალობითა და სიღრმით, პუბლიცისტური სიმძაფრით და სიმახვილით.

როგორია რევან მიშველაძის ნოველების საერთო ხასიათი, საერთო პათოსი? რომლის გამოყოფა შეიძლება საგანგებო განხილვის და განსჯის საგნად?

მიუთითებენ, რომ რევან მიშველაძის გამოსახვის ძირითადი ობიექტია ჩვენს სოციალურ სინამდვილეში არსებული ნაკლოვანებანი, რომ იგი დაუნდობლად, ე. წ. „შეუფერავი რეალიზმის“ მეთოდით ამხელს იმ შავ ლაქებს, რომლებიც მეოცე საუკუნის დამლევს, — აღარ ითქმის გადმონაშთების სახით — თან ახლავს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას. კრიტიკული პათოსი მთელი ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის საერთო დამახასიათებელი თვისებაა, და, ამდენად, ამ პათოსის გამოხატვა ამჟამად არ წარმოადგენს რაიმე ორიგინალობას და სიახლეს. მათ უფრო, რევან მიშველაძე მისი დამწყები არ არის, ხოლო მიმბაძველობა და მიმდევრობა ვერ მოუხვეჭდა იმ სახელს, რომლითაც იგი სარგებლობს არა მხოლოდ ქართველ მკითხველ საზოგადოებაში, არამედ საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთის ფართო მკითხველ წრეებში.

რევან მიშველაძის ნოველები დიდი ხანია თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ბელორუსულ, ბულგარულ, უნგრულ, შინდურ, ვიეტნამურ, იაპონურ, ჩინურ და სხვა ენებზე. აღიარება და დაფასება არასოდეს არ მოაქვს მარტოოდენ პრობლემის ერთ ასპექტს — თემატურ აქტუალობას, მაშ, რა ანიჭებს რევან მიშველაძის ნოველებს ესოდენ მიმზიდველობას?

ჩვენი აზრით, წარმატების უპირველესი და უმთავრესი ფაქტორი ადამიანთა საოცარი სახეების შექმნის ის უნარია, რომელსაც ამჟღავნებს რევან მიშველაძე თითქმის ყველა თავის ნოველაში. ეს სახეები ნოველის ჟანრის სპეციფიკის შესახამისად ფრაგმენტულია, იგი ყოველთვის ადამიანს გვიჩვენებს რაღაც ერთი შტრიხით, ერთი კუთხით, მისი ცხოვრების ერთ კონკრეტულ ფაქტთან თუ ეპიზოდთან კავშირში, მაგრამ იმდენად კოლორიტულად, იმდენად მოხდენილად და ზუსტად ახერხებს მწერალი პერსონაჟის ხასიათის მთლიანი ბუნების გამოკვეთას, ჩვენ, მკითხველებს, სხვა არაფერი დაგვ-

არჩენია, გარდა იმისა, რომ ვიწამოთ მოთხრობილი ამბის სისწორე, გავიწროთ იგი როგორც სინამდვილის შემეცნების საშუალება და ამ გზით შევიძუშავოთ ჩვენი აზრი, ჩვენი შეხედულება არსებულ სინამდვილეზე.

ამიტომ, ვფიქრობთ, არასწორი იქნებოდა რევაზ მიშველაძის ნოველების კრიტიკული ელფერი მხოლოდ სოციალურ პრობლემატიკასთან პირდაპირ მიმართებაში დაგვეჩინა. მისი განმსაზღვრელი ადამიანის სულის ის გაბზარული ფსიქოლოგიაა, რომელიც თითქოსდა გაორებული სამყაროშია მოქცეული. თავგადასხვეული ინდივიდების „ნავთსაყუდელიდან“ ყოველთვის ისმის შინაგანი ბოლმის თუ პროტესტის ხმა. რევაზ მიშველაძის მხატვრული ოსტატობა ამ ხმის გამოვლინების დამატებლობაშია. მასხასადაში, მის ნოველებში პირველ რიგში საყურადღებოა არა მხილების პათოსი, არამედ ადამიანური ხასიათების გამოკვეთის, ძერწვის ის პროტენციური ძალა, რომელიც უშრეტად მოედინება მწერლის წარმოსახვითი მდინარის იდუმალი სათავიდან.

მაგალითისათვის ავიღოთ ნოველა „ქველი“, რომლითაც იხსნება ნოველების ერთობილი — „მწუხრი“. იგი აღრე ორჯერ დაიბეჭდა, ჯერ ჟურნალ „ციცკარში“, მერე 1981 წელს გამოცემულ წიგნში „გალიაში რომ გაგზარდე“. რა სოციალურ ძალთა დაპირისპირება შეიძლება ამოვიკითხოთ ამ ნოველიდან? მასში მოჩანს ადამიანის სულის ისეთნაირი დეგენერაცია, რომელიც უპირისპირდება მთელს ჩვენს სულიერ შემკვიდრებაში დაგროვილ ფასეულობებს, საუკუნოვან ტრადიციებს, ჰუმანისტურ იდეებს, მთელს ჩვენს მონაპოვარს და განძეულობას. და ეს ყველაფერი სრულიად უბრალო, მარტივ და თითქოს უმნიშვნელო დეტალშია გახსნილი და განზოგადებული.

ნოველაში ერთი სოციალური მდგომარეობის ორი კონკრეტული პიროვნებაა ერთმანეთთან შეურიგებელი თვისებებით დაპირისპირებული. ერთს შენარჩუნებული აქვს ტრადიციული ადამიანური ღირსებები, მეორეს კი არა თუ ღვაწივებული, გადაადებული და გადაყრილი აქვს იგი როგორც ნაგავი, რომელიც, დროზე თუ არ გაიწმინდა, შეიძლება აყროლდეს, გადაშვებ ბაცილად იქცეს, მოედოს და მოწამლოს ჯერ მისი წარმომავლი უბანი, მიდამო, შემდეგ მთელი ქვეყანა და კაცობრიობა. იმიტომ, რომ ზიკეთეს არა აქვს არც კლასობრივი, არც რაიმე სოციალური იარაღი, იგი ზოგადად ამიანურია და, ამდენად, ზოგადკაცობრიული.

დაახ, ასეთი ზოგადკაცობრიულია რევაზ მიშველაძის მიერ „ქველში“ დასმული სიკეთის პრობლემა. ჩვენთვის მისი მხატვრული მოტივირებაა საინტერესო.

ერთმა ცხოვრებაზე ხელჩაქნეულმა მარტონელა კაცმა გადაწყვიტა ხელფასიდან წლების გა-

წმავლობაში დაზოგილი ორი ათასი მანეთი საჩუქრად გადასცეს ვინმე უცნობ წვრილშვილიან ოჯახს. ეს ჩვეულებრივი ათასწლოვანი ქველმოქმედებაა, სიკეთის ერთი გამოწვევა, რომელსაც ტრადიციულად მადლიერების გრძნობით აღიქვამდნენ ხალხი. ერმინე სახამბერიძემ კი წარმოუდგენელ სიტუაციაში დაწვია ვიგა ხაჩიძე — მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი. ჯერ მეთი მოითხოვა მისგან. მერე აღმასკომში უჩივლა და ბოლოს ინსპექტორმა ისე მოუშხამა გუნება-განწყობილება, სხვა არჩევანი ვერ ჰპოვა, გამწარებულმა კეთილისმყოფელმა სიცოცხლეზე ხელის აღების მიზნით თეთრი ხიდიდან რიონში გადავარდნა გადაწყვიტა.

— რისთვის? — გებადებათ კითხვა.

— სიკეთისათვის. — გარწმუნებთ ნაწარმოებში.

— რატომ? — ისევ გებადებათ კითხვა.

და რომ ნაწარმოებიდან ამის სწორი პასუხი მივიღოთ, საკმარისია ერთი პატარა ეპიზოდი მოტანა.

— „რა ხნის ბრძანდებით? — ეკითხება აღმასკომის ინსპექტორი ვიგა ხაჩიძეს.

— ორმოცდათვრამეტის.

— მერე ამ ხნის კაცმა არ იცით, რომ თქვენს უაზრო ხელგაშლილობას დღეს ვერაფერ ვერ გაიგებს. ახლა სხვა დროა.

— რა დროა?

— რა დროა და ხალხოსნური ქველმოქმედება მოდაში აღარ არის. კაცისთვის ორი ათასი მანეთის ჩუქებას დღეს დამცირების, შეურაცხყოფის ელფერიც ახლავს“. („მწუხრი“, გვ. 18). ახლა წუთით უკან მოვიხედოთ და ვიგა ხაჩიძესთან ერმინე სახამბერიძის საუბრის ორი ადგილიც მოვიტანოთ.

... — სულ არაობას, რად უნდა ლაპარაკი, ორი ათასი მანეთი სჯობია, მაგარამ...

— რა მაგარამ, ერმინე ბატონო? — მასპინძელი სმენად იქცა.

— რა და... კი არ უნდა ვამბობდე, მაგარამ, გითხრა სიმართლე, ცოტა შეტს ველოდი“. (იქვე, გვ. 12).

... „ერთი ეს მითხარი, ჩემს ცოლს იცნობდი ადრე?

— რომელ შენს ცოლს?

— რომელსაც მიუტანე ფული. აბა, სხვა, არ მყავს შე.

— პისტის?

— ზო.

— არ ვიცნობდი, პირველად ვნახე — ვიგა ხაჩიძე მიხვდა საითკენ გადაუკაუნა სტუმარმა, — არ გრცხვენია, ერმინე? კაცი მგონიხარ შენ შე.

— ვინცა ჩვენს შორის კაცი, ამას ვაარკვევენ, სადაც ადგილია. შე კაცი ვარ, თუ პრობკა, არავის საქმე არაა მაგი. არაფერი არ დაიმალება ქვეყანაზე, იცოდე ეს... არ დაიმალება არაფე-

რი — გაცრით, სისინით, დაქადნებით ჩაილა-
პარაკა ერმინემ და სიბნელეს მიეფარა“ (იქვე,
გვ. 14).

სიკეთე მარადიულია, გვეუბნება მწერალი, იგი
დროის ცვლადობას არ მისდევს. იგი ადამი-
ანთან ერთად წარმოიშვა და გაქრება მასთან
ერთად. მაშ, რა შეიცვალა?

თვით ადამიანმა დაკარგა სიკეთის შეგრძნების
ჩვევა. ყოფილ მძღოლს, დაწესებულების კა-
რისკაცს, რომელსაც მანქანის ავარიის გამო მისი
ტარების უფლება კანონიერად ჩამოერთვა, ვერ
წარმოუდგენია ახლანდელ დროში არსებობდეს
ისეთი გულუბრყვილო ვინმე, თავისი დანაშაუმი
სხვისთვის რომ გაიმეტოს. ხუთშვილიან სახამ-
ბერიძეს ოჯახში მოტანილი ფული მთავრობის-
გან გამოგზავნილი ჰგონია და მომტანის კეთილ-
სინდისიერებაში დაეჭვებული მეტს მოითხოვს,
ვიდრე მიიღო (აქაოდა, „ხომ არის შემთხვევები,
ოთხასი მანეთი გამოუყვეს კაცს და ორასი მომ-
ტანმა გადალუნა“). სახამბერიძის ახლო ნათესავმა
უშანგი ქელიამ, ეს ამბავი რომ გაიგო, რაღაც სა-
იღუმლო „ოპერაციით“ ფულის იოლად შოვნის
გზა „დაუნოსა“ და გიგა ხაჩიძეს ერთგულ კა-
ცად გამოეცხადა, რათა „მკვდარი სულების“
სიის გაზრდაში დახმარებისათვის მოგების წი-
ლში ჩამდგარიყო.

ასე აიწუნა და აირ-დაირია გიგას გარშემო
მომენტალურად, სიკეთის ნაბიჯის გადადგმის-
თანავე ვითარება, რამაც იგი სასოწარკვეთი-
ლებამდე მიიყვანა. ეს თავისებური პროტესტის,
აღშფოთების, ბოლშის გამოხატვაა. რით არის
განპირობებული ამ მდგომარეობამდე მისვლა?

მწერალი მთავარი პერსონაჟის სულის მოძ-
რაობის არც ერთ ნიუანსს არ გვიტოვებს „ღია
ცის ქვეშ“, რომ ჩვენი უკმარისობის გრძობის
წამები წვიმის წვეთებივით ესზურებოდეს. გიგა
ხაჩიძის ცხოვრების ტრაგიკული ბედი ერთ სი-
ტყვაშია გახსნილი — „რეაბილიტირებული“.
ნოველის ფაბულაც ამ სიტყვიდან იღებს სა-
დინარს. გადასახლებიდან დაბრუნებულმა გიგა
ხაჩიძემ, რომელსაც დაძმა არ ჰყავდა, მამა პა-
ტარობაშივე დაეღუპა, ხოლო დედა დაპატიმ-
რების მეორე წელს, გარდაეცვალა, ხელფასიდან
მცირე დანაშაუგის დაგროვება იმ მიზნით დაი-
წყო, რომ ოჯახს მოკიდებოდა. მაგრამ თხუთმეტ
წელს ნაგროვებმა თანხამ დაარწმუნა, რომ ორი
ათასი მანეთით ვერც სახლს აიშენებდა, ვერც
მანქანას იყიდდა, ხოლო ორმოცდათვრამეტი
წლის კაცს უკვე ცოლის შერთვაზეც ხელი
ჰქონდა აღებული.

ერთადერთი, რაც მის სიცოცხლეს აზრს ამ-
ღევდა, ეს იყო უეცრივ მიღებული გადაწყვე-
ტილება — „ერუქები ეს ფული იმისთვის,
ვისაც წვრილშვილი ჰყავდა და ხელმოკლედ
ცხოვრობდა, ვისაც ზუსტად ეცოდინებოდა, რა-
ში დაეხარჯა. ამ ფიქრმა ისე გაახალისა და გაა-
მხნევა, — გვეუბნება მწერალი — სტვენაც კი

დაიწყო. ეგონა, ყველაზე ჰკვიანური გზა ახლა
უბოვა წლების განმავლობაში კაპიკ-კაპიკ ნა-
გროვებს. ტანში აურუოლებდა იმ სიამოვნებისა-
გან, რასაც ორი თასი მანეთის ჩუქებით გახა-
რებული კაცის სახე მოგვკრიდა“ („მწუხრი“,
გვ. 7).

„ქველი“ ის ნაწარმოებია, რომელსაც არა-
სოდეს გაცვითავს დროის უანგი. ამ მოსაზრების
დასადასტურებლად უნდა გავიხსენოთ „ლიტე-
რატურნაია გაზეტას“ 1988 წლის 26 ოქტომბ-
რის ნომერში (№ 48) გამოქვეყნებული ლილია
გრაფოვას წერილი „სახათაბალო საქმე“ („Mo-
რონა“).

წერილი დაბეჭდილია რევაზ მიშველაძის ნო-
ველის გამოქვეყნებიდან თითქმის ორი წლის
შემდეგ. მაშასადამე, არა მწერალმა გამოიყენა
მოთხრობილი ამბავი სიუჟეტად, არამედ პირი-
ქით — ნოველის სიუჟეტის ძირითადი ქარგა
დაემთხვა დეტექტივის მსგავსი ბიუროკრატიზმის
ერთ ფაქტს, რომელშიც ზუსტად ასევე არის
გათელილი და წაბილწული სიკეთის ნდომა, სი-
კეთის ღვთაებრივი აქტი. წერილის შინაარსი
მოკლედ ასეთია:

ლენინგრადელმა დოცენტმა, პროფესიით ფი-
ზიკის ლექტორმა დიმიტრი სიმონის ძე რომა-
ნოვმა, პარტიის წევრმა 1928 წლიდან, რომელ-
საც მეუღლის გარდა არავინ ჰყავდა, უაღრესად
თავმდაბალმა და უპრეტენზიო ადამიანმა მო-
ხუცებულობის უამს გადაწყვიტა, რომ მისი შრო-
მითი დანაშაუმი — თოთხმეტი ათასი მანეთი
საჩუქრად გადაეცა სსრ კავშირის ჯანმრთელო-
ბის სამინისტროსათვის პედიატრიის დარგში
ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტების დასა-
ჭილდობლად. მიზანი: ბავშვთა ჯანმრთელობი-
სათვის ზრუნვა. 1975 წელს დაუწყია ამ საკი-
თზე „ხლაფორთი“ დ. ს. რომანოვს და 1981
წელს ისე მომკვდარა, ფული შემნახველ სალა-
როში დარჩენილია მაინც. ერთგულმა მეუღლემ
ქმრის ანდერძის შესასრულებლად მიმოწერა გა-
ნახსნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინის-
ტროში, მაგრამ მთელი ორი წელიწადი მოუ-
ნდა წვალებას, საქმე იქამდე მივიდა, რომ შე-
ურაცხელობის მიყენებაც კი დაუწყეს მიცვალე-
ბულს: „გამოჩნდა ნობელი“, „სახელის უკვდავ-
ყოფა მოუნდა“, „ჩვენ სახელმწიფოს კერძო
პირთა შეწირულობა არ სჭირდება“ და ასე შე-
მდეგ. ხანდაზმულ ქვრივს დარჩენილი სიცო-
ცხლე ისე მოუწამლეს, ძვირფას მეუღლეს ხან-
დახან საყვედურითაც კი იხსენიებდა: „ახ, დიმა,
დიმა, რა ხათაბალოში ჩამაგდე!“.

ბიუროკრატიული მიმოწერებისა და საქმისად-
მი ფორმალური დამოკიდებულების „ალიაქოთში
არავინ იხსენებდა, რომ კანონით ყოველ მოქა-
ლაქენ აქვს უფლება თავისი დანაშაუმი ანდე-
რძით დაუტოვოს, ვისაც უნდა იმას. არც ის
აგონდებოდა ვინმეს, რომ საბჭოთა ხალხის დი-
დი სამამულო ომის პერიოდში კერძო შემოწი-

რულეებისაგან ათასობით ტანკი და თვითმფრინავი შენდებოდა ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, რომ წინაპართა ისტორიულ გზაზე ქველმოქმედება ყოველთვის ამშვენებდა ადამიანთა მოდგმას.

რას გვიჩვენებს ეს საგაზეთო მაგალითი?

პირველ რიგში იგი იმის მარჯვენებელია, რომ რევალ მიშველაძის ნოველაში „ქველი“ დასმული საკითხი ფართო, გლობალური ხასიათისაა, რომ მწერალს აქვს „ილბლიანი“ სიუჟეტების აღმოჩენის, დანახვის, მიღების უნარი, სიხლის გრძნობა, რომლითაც ცალკეული, თითქოს შეუმჩნეველი ფაქტი თუ მოვლენა მხატვრული განზოგადების ძალით იქცევა მწვავე სოციალური ხასიათის პრობლემად, საზოგადოებრივი ცნობიერების საგნად, ჩვენი მსჯელობისა და დისკუსიის ობიექტად, რათა გზააბნეულ ადამიანებს დაუბრუნდეთ კეთილშობილური გრძნობა, რათა სიხარბემ, სულმოკლეობამ და გაიძვერობამ, სანამ დრო არის, სულ მთლად არ წაღვეს სინდისი და პატიოსნება, რათა ყოველთვის, ყოველი დროისათვის პირნათლად შეიძლება აღსდგეს შოთა რუსთაველის აფორიზმით ამაღლებული სულის უმტკივნეულოდ ღაღადისი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

„ქველში“ პერსონაჟის ნატვის, მხატვრული სურათის შექმნის ფორმა აზრისა და ემოციის მთლიანობის მაღალ დონეს აღწევს. აქ პირველი სტრიქონებიდანვე გიპყრობთ თხრობის უბრალო მანერა, საგნებისა და ნივთებისათვის სულის ჩადგმა, მათი ამეტყველება ცოცხალი არსებების მსგავსად, მოქმედ პირთა კილოკავის ნაირფერობა, დიალოგის ლოგიკურობა და ბუნებრიობა, ამბის გაშლის დინამიკურობა და სისხარტი, ხასიათთა და ფვისებათა გამოვლენის სიცხადე, სიმკვეთრე და სიწესტე. და ყოველივე ეს თავსდება სულ რაღაც რამდენიმე გვერდზე, ნოველის კლასიკურ ჩარჩოში.

ამავე ნიშნებით ხასიათდება გაზეთ „კომუნისტის“ 1984 წლის 8 სექტემბრის ნომერში (№ 208) გამოქვეყნებული მცირე მოცულობის ნოველა „დეპეშა“. იგი წარმოადგენს ერთგვარ ნოველა-რეჟიემს საბჭოთა ნაღის დიდ სამამულო ომზე, გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს ძლიერაშოსილ გამარჯვებაზე, რომლის ორმოცი წლისთავი ზეიმით აღნიშნა არა მხოლოდ ჩვენმა ქვეყანამ, არამედ მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ.

სანამ ნოველას წაიკითხავდეთ, წუთით რომ შევყვინდეთ და სკეპტიკურად განეწყოთ მისადმი იმ მოტივით, რომ ომზე რა უნდა დაწერა, რაც არ ვიცით და რაც არ დაწერილაო, თქვენ შემცდარი აღმოჩნდებით. სწორედ რომ მოინახა თავისებური, სრულიად ორიგინალური ასპექტი მხატვრული ჰერეტიკისა და განზოგადებისათვის.

ნოველაში ერთადერთი პერსონაჟია — თამარ შავყურაშვილი, ერთადერთი ფრაგმენტი მისი

ცხოვრებიდან აღებული, ერთადერთი განცდაა გამოსახული და გამომწეურებული და ამ ერთადერთი დეტალის „ნაკვეთებიდანაც“ კი მკაფიოდ მოჩანს დარდით და ლოღინით ნადრევად დაბერებული თამარის სახე, მისი გამარჯვებული სულის სიდიადე და სილაშაზე, ხასიათის სიმტკიცე და გაუტყნელობა, მისი წუხილის, გულისტკივილის და ტრაგიკული ბედის სიმძიმე, რომლებიც ერთიანად აღიქმება როგორც სახე-ქანდაკება, როგორც ოთარანთ ჰერეტიკის სიცოცხლის გაგრძელება, შთამაგონებელი ჰიმნი სიწმინდისა და ერთგულების მარადისობაზე და როგორც სულის შემძვრელი რეჟიემი, ექო და გამოძახილი ომისგან მიუენებული მოურჩენელი ჭრილობისა.

ღიას, ღრმა და მოურჩენელია თამარის სულში დარჩენილი, ორმოცი წლის „გვირაბში“ გამოვლილი ის იარა, რომელიც მოუტანა თამარის მსგავს შილიონობით ადამიანს მეორე მსოფლიო ომში. მაგრამ ამ იარებს სხვადასხვა ასპექტი, სხვადასხვა „განზომილება“ აქვთ. თამარის შიდა მონოლოგის სახით მწერლის მიერ ნაჩვენებია კიდევ ერთი შემადრწუნებელი სურათი, შექმნილია კიდევ ერთი უაღრესად ძლიერი ფსიქოლოგიური ეტიუდი, რომელიც ათასი ფუთი ბრალდების მსგავსად ზიზლით და სიძულვილით გავსებს სამშობლოს ყველა ჭურის მტრებისადმი. ნოველის ასეთი მებრძოლი სულისკვეთება გამომდინარეობს მისი მოქმედი პირის თანადროულობისა და ოპტიმიზმისაგან.

„სამი დღე ვიყავით ერთად ცოლ-ქმარი, შვილო, სამი პარაკვევი არ გაუთენდა ომის მომგონსა და ჩვენს დამლუპველსა“. — გვიმხელს თავის ფიქრიან მონოლოგში თამარი წარსულის ეპიზოდს. და დაწყებული ამ „სამი დღიანი“ ცოლ-ქმრული სიყვარულიდან, თამარის არსებას არ მიჰკარებია სხვა აზრი, გარდა ლევან სამადალაშვილის „მადლიანი“ დიმილის მოგონებისა. ორმოც დღესავით გაიბინა მის თვალწინ ორმოცმა წელმა და მთელმა სიცოცხლემ და თამარი მაინც ბედნიერად გრძნობს თავს. „ყველა თავისებურად ბედნიერია“ — გიპასუხებთ იგი თქვენს დაეჭვებულ მწერაზე და თან დაუმატებს: „განა ლოღინი არ არის ბედნიერება“.

სწორედ ამ ლოღინში წარმოიშვა ის ლამაზი ილუზია, რომელიც ივრესკიდან კოურეთში თამარის სახელზე დეპეშის მიღებასთან არის დაკავშირებული. ყველაფერი ეს მწერლის ფანტაზიის საუცხოო ნაყოფია. ამ დეპეშამ თითქოს ახალი სული ჩაუდგა დარდისაგან ჩამომხმარ თამარს. მას აგონდება ლევანთან პირველი შეხვედრის, პირველი შეუღლების, სადგურზე „მიღეთ ხალხში“ ლევანის გაცილებების, ლევანისგან წერილების შეწყვეტის პირველი განცდები, შრომასა და ლოღინში გაღებული წლები და თითქოს სიხარულით ეშადე-

ბა იგრესკში წასასვლელად, რათა მხოლოდ ერთხელ შეავლოს თავი თავის ლევანს.

„უნდა ვნახო, — დაბეჭითებით ეუბნება თამარი თავის თავს, — რომ არ ვნახო, აქ, სიწმირები მომშლის. რაც ეს დეპეშა მივიღე, ყოველ ღამე ფანჯარასთან დგას და მეძახის: თამარა, იგრე რამ დაგაძინა, ქალო, ერთი რომ აღარ გამეპასუხე, არაქათი გაშითავდა ძახილითაო.“ წამავხტები, ერთ გაიღიმებს თავისი ალალი ღიმილითა, მშეკაბუკის ღიმილითა და სანამ ფანჯარასთან მიფარფალდებოდე, გაიწევა და სიბნელეს შეერევა“.

განუწყვეტილი მოლოდინის ასეთი შემზარავი სურათის დახატვით რევან მიშველადემ შეძლო ერვენებინა მკითხველებისათვის მისი მწერლური ამბლუას კიდევ ერთი მხარე — ადამიანის სულის იღუმალ ხვეულებში წვდომის, საქართველოს ყოველი კუთხის ხალხური მეტყველების ტონისა და ინტონაციის ზუსტად გამოხატვის, შინაგანი მონოლოგის ფსიქოლოგიური სიღრმის გადმოცემის უნარი.

ეს ნიშნები კიდევ უფრო მძაფრად ვლინდება ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის არსებითად სრულიად ახალ თემატურ პრობლემატიკაში, რომელიც დასმულია გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1984 წლის 30 ნოემბრის ნომერში (№ 49) დაბეჭდილ ნოველაში „წავა?“ ნოველა პირველად აღძრავს ჩვენს სინამდვილეში ფერეიდნელი ქართველების საქართველოში დაბრუნების და საქართველოდან გარკვეული ნაწილის კვლავ უკან წასვლის უაღრესად მახვილ პუბლიცისტური უღერადობის პრობლემას, რომელმაც მკითხველთა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ ინტერესის მკაფიო გამოხატულება იყო გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე (1984 წლის 24 დეკემბერი, № 296) ფერეიდნელი ქართველის რეზო მიქელაძის თითქოს პირდაპირი გამოხმაურება კატეგორიული პასუხით „არ წავალ“,

ნოველის ორი პერსონაჟის — ფერეიდნიდან ჩამოსული სულხან მიქელაძის და რაიონული გაზეთის რეპორტიორის ლაშა ცაყციძის დიალოგის სახით გახსნილია ფერეიდნიდან თავი

ვიანთი ნებით ჩამოსული ქართველებისადმი განუზომელი ზრუნვის სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები და ის მიზეზებიც, რომლებმაც განაპირობეს მათი ნაწილის უკან დაბრუნება. მწერალმა საუცხოოდ შეძლო რთული, სასიფათო, სარისკო თემის დაძლევა, ერთი მხრივ, გვიჩვენა სარწმუნოების და ზნე-ჩვეულებების უდიდესი გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უტაქტო დამოკიდებულების ის საზიანო შედეგები, რომლებმაც, სამწუხაროდ, ბიძგი მისცეს და დააჩქარეს ზოგიერთი, სულხან მიქელაძის მსგავსი უნიბისყოფი ადამიანების უკან დაბრუნება.

ეს მეტად სავალალო, დამაფიქრებელი და ამაღლვებელი ფაქტია, რომელსაც ამომწურავად ნათელს ფენს თვით ფერეიდნელივე ქართველი თავის ზემოთაღნიშნულ წერილში. „რატომ წავიდნენ?.. არ მოეწონათ ჩვენი ქვეყანა? დააკლდათ რამე? ცხადია, არა. მაგრამ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: გულითაც, ხასიათითაც, ნებისყოფითაც. ყველას ყველაფერი ჰქონდა, არავის არაფერი არ გასჭირვებია. მაგრამ ვერ გაუძლო მორალურ დატვირთვას, ვერ აიტანეს ახლობლებისაგან დაცილება და თავის ძველ კერას დაუბრუნდნენ. საქართველოდან ფერეიდნელთა რამდენიმე ოჯახის ირანში უკან დაბრუნების შემდეგ ფერეიდნელებში საქართველოსკენ ლტოლვამ ახალი, უფრო ძლიერი ძალით იფეთქა, სიყვარული, რომელიც დანახვა ჩვენმა რესპუბლიკამ ფერეიდნელ რეპატრიანტებს, ანდამატივით იზიდავს ახლებს“ („თბილისი“, 1984, № 296).

ამ დიდ პატრიოტულ მოძრაობაში თავის გარკვეულ როლს უკვე გამოქვეყნების დღიდანვე ასრულებს რევან მიშველაძის კითხვის მოგებით დასათაურებული ნოველა „წავა?“, რაც მოწმობს მწერლის კავშირს ცხოვრებასთან, სინამდვილესთან, მის აქტიურ საზოგადოებრივ პოზიციას.

ასეთია, ჩვენი აზრით, სამი ნოველის განხილვის ფონზე რევან მიშველაძის შემოქმედების ზოგადი ნიშნები.